

შპს „გზები“

**ფინანსური ანგარიშგებისა და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა**

2019 წლის 31 დეკემბერი

შპს „გზები“

სარჩევი

1. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა;
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
3. სრული შემოსავლის ანგარიშგება;
4. კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება;
5. ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
6. განმარტებითი შენიშვნები;
7. მმართველობითი ანგარიშგება.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „გზები“-ს მფლობელებს და მმართველობას:

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა მატერიალური, არსებითი თვალსაზრისით, სამართლიანად წარმოაჩენს გზები” („კომპანია”) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისათვის, და მის 2019 წლის ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენ განვახორციელეთ შემდეგი სახის აუდიტირება

კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
- დასრულებული წლის ბოლოსათვის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება
- კაპიტალის ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება დასრულებული წლის ბოლოსათვის
- ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება დასრულებული წლის ბოლოსათვის ;და
- ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები, რომელიც მოიცავს ძირითადი ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შეჯამებას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ განვახორციელეთ აუდიტირება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ასს). აღნიშნული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა დამატებით აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში „ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტირებისას აუდიტორის პასუხისმგებლობა”.

ჩვენ გვჯერა, რომ, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებანი საკმარისი და შესაფერისია იმისათვის, რომ წარმოვადგინოთ ჩვენი მოსაზრების საფუძველები.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვართ კომპანიისაგან დამოუკიდებლები, “ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ მიერ დადგენილი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“-ს შესაბამისად (IESBA კოდექსი). ჩვენ ავიღეთ შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური პასუხისმგებლობები „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო“-ს მიერ დადგენილი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“-ს შესაბამისად.

სხვა ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენი აუდიტის დასკვნას მასზე)

ჩვენი მოსაზრება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტირებასთან დაკავშირებით, ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის მმართველობის ანგარიშგების წაკითხვა და ამით განსაზღვრა, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნასთან, არის თუ არა არსებითი უზუსტობები მასში.

ამასთანავე, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ჩვენ მოგვეთხოვება ჩვენი მოსაზრების გამოთქმა იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების ცალკეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ, შეიცავს თუ არა მენეჯმენტის ანგარიში ისეთ ინფორმაციას, რაც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს მატერიალური, არსებითი უზუსტობა, ჩვენი მხრიდან მოგვეთხოვება დავაფიქსიროთ აღნიშნულის შესახებ. თუმცა, ამ მხრივ ჩვენს დასკვნაში არაფერი გვაქვს წარმოსადგენი.

ჩვენი აუდიტის მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი მოსაზრება შემდეგია ყველა არსებითი ასპექტით:

- ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში ფინანსური წლისათვის, რომლისთვისაც მომზადდა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას;
- მმართველობის ანგარიშგება შეიცავს ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით და შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს.

მენეჯმენტისა და იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომლებიც ჩართულნი არიან

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მართვაში

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამასთანავე, პასუხისმგებელია შიდა კონტროლზე, რომელიც განსაზღვრულია მენეჯმენტის მოთხოვნების შესაბამისად, რათა შესაძლებელი გახდეს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადება, რომელშიც არ იქნება მატერიალური, არსებითი უზუსტობები, თაღლითობა ან შეცდომები.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია შეაფასოს „კომპანიის“ უნარი განაგრძოს ფუნქციონირებადობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აუცილებლობის შემთხვევაში გაამჟღავნოს ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებად საწარმოსთან და გამოიყენოს საწარმოს ფუნქციონირებადობა ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად, მანამ, სანამ მენეჯმენტი არ დააპირებს ჯგუფის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას, ან არ ექნება სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ აღნიშნულის განხორციელებისა.

ის პირები, რომლებიც ჩართულნი არიან „კომპანიის“ მმართველობაში, პასუხისმგებელნი არიან ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტირებისას

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, რომ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება თავისუფალია მატერიალური, არსებითი უზუსტობებისგან, თაღლითობისა და შეცდომებისგან საერთო ჯამში და წარმოვადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც შეიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ აუდიტირება, რომელიც ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ყოველთვის აღმოაჩენს მატერიალურ, არსებით უზუსტობას ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობანი შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომების ნიადაგზე და მიიჩნევა მატერიალურ, არსებით უზუსტობად იმ შემთხვევაში, თუ ცალკეულად ან საერთო ჯამში, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი გავლენას მოახდენენ იმ პირების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე იღებენ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს.

როგორც აუდიტირების შემადგენელი ნაწილს, რომელიც ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტირების განმავლობაში ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობასა და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს მთელი აუდიტის განმავლობაში. ამასთანავე, ვასრულებთ შემდეგს:

- ვახორციელებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შეცდომებისა და თაღლითობის რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ვადგენთ, რამდენად აქვს ადგილი თაღლითობას ან შეცდომას, ვახორციელებთ ისეთ აუდიტორულ პროცედურებს, რომლებიც რეაგირებენ ამ რისკებზე, მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების წარმოსადგენად. რისკი იმისა, რომ შეიძლება ვერ მოხდეს თაღლითობით გამოწვეული მატერიალურ, არსებით უზუსტობათა აღმოჩენა, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ უზუსტობა შესაძლოა გამოწვეული იყოს შეცდომების დაშვების საფუძველზე, ვინაიდან, თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს შეთქმულებას, გაყალბებას, განზრახ დაუდევრობა-გამოტოვებას, ფაქტების დამახინჯებას, ან შიდა კონტროლის გაუქმებას.
- ჩვენ ვახორციელებთ აუდიტისთვის შესაბამის შიდა კონტროლს, იმისათვის, რომ შევიმოწვაოთ აუდიტორული პროცედურები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება გარემოებებთან, მაგრამ ამას ვასრულებთ არა იმისთვის, რომ გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება „კომპანიის“ შიდა კონტროლის ეფექტურობასთან დაკავშირებით.
- ვახორციელებთ მენეჯმენტის მიერ გამჟღავნებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაფერისობის და სააღრიცხვო შეფასებების და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გონივრულობის შეფასებას.
- გამოგვაქვს დასკვნა მენეჯმენტის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების შესაფერისობის შესახებ და აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა მატერიალური, არსებითი განუსაზღვრელობები იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ეჭვის წარმოშობა „კომპანიის“ შესაძლებლობებზე, გააგრძელოს არსებობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებობს მატერიალური, არსებითი უზუსტობანი, ჩვენ მოგვეთხოვება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გამჟღავნება არაადეკვატურია, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომელიც მოპოვებულია ჩვენი აუდიტორული დასკვნის თარიღისათვის. თუმცა, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა, ან გარემოებამ, შესაძლოა გამოიწვიოს ის, რომ კომპანიამ შეწყვიტოს არსებობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.
- ვახორციელებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მთლიანი პრეზენტაციის, სტრუქტურისა და შინაარსის შეფასებას, მათ შორის განმარტებითი შენიშვნების შეფასებას და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანადაა წარმოდგენილი ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი ოპერაციები და მოვლენები.

ვაწარმოებთ კომუნიკაციას იმ პირებთან, რომლებიც ჩართულნი არიან მმართველობის საკითხებში, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას

აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის მიერ მოპოვებული მნიშვნელოვანი აღმოჩენების, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც აღმოვაჩინეთ ჩვენი აუდიტის განმავლობაში.

შპს „ბიურო აუდიტის“-ს სახელით (რეგისტრაციის # SARAS-F-164419)

კახა ჭკუასელი (რეგისტრაციის # SARAS-A-577437)

20 აპრილი 2021 წელი

თბილისი, საქართველო

/ხელმოწერილია/

შპს „გზები“

ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება 2019 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით

	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	2,975,695	3,373,181	3,185,966
მიწა	1,573,606	1,573,606	1,573,606
არამატერიალური აქტივები	30,947	30,947	30,947
სულ გრძელვადიანი აქტივები	4,580,248	4,977,734	4,790,519
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,288,944	1,276,515	1,159,139
გაცემული სესხები	425,170	420,174	375,193
გადახდილი ავანსები	75,448	26,629	73,150
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,173,294	2,566,733	2,926,858
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	4,500,000
ფული და ფულის ექვივალენტები	138,676	29,402	1,455,345
მოთხოვნები წილის შესყიდვაზე	1,323,517	1,254,694	454,215
სულ მიმდინარე აქტივები	6,425,049	5,574,148	10,943,900
სულ აქტივები	11,005,297	10,551,881	15,734,419
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	984,500	1,500,000	6,340,000
სარეზერვო კაპიტალი	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება	,5183,202	4,373,981	4,835,245
სულ კაპიტალი	6,167,702	5,873,981	11,175,245
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	3,405,145	2,485,953	3,274,266
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	84,159	298,850	456
მიმდინარე სესხები	279,514	640,433	350,000
სხვა საგადასახადო ვალდებულება	281,728	403,395	499,387
ვალდებულება თანამშრომელთა წინაშე	743,289	559,769	127,053
სულ მიმდინარე ვალდებულებები	4,793,835	4,388,400	4,251,162
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა ფინანსური ვალდებულებები	43,760	289,500	308,012
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	43,760	289,500	308,012
სულ ვალდებულებები	4,837,595	4,677,900	4,559,174
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	11,005,297	10,551,881	15,734,419

დირექტორი

ი.აბაშიძე

შპს „გზები“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი		18,074,644	14,561,109
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		(5,725,042)	(4,357,872)
საერთო მოგება		12,349,602	10,203,237
საერთო ადმინისტრაციული ხარჯი		(11,504,279)	(10,252,290)
საოპერაციო მოგება		845,323	(49,053)
ფინანსური ხარჯები		(161,490)	(114,411)
(ზარალი)/მოგება საკუროსო სხვაობიდან		18,225	21,999
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		107,163	114,764
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		809,221	(26,701)
მოგების გადასახადი		0	0
გადავადებული მოგების გადასახადის შემოსავალი		0	0
წმინდა მოგება/ზარალი		809,221	(26,701)

დირექტორი:

ი.აბაშიძე

შპს „გზები“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	სარეზერვო კაპიტალი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
01 იანვარი 2018 წელი	-	6,340,000	4,835,245	11,175,245
პერიოდის მოგება		-	(26,701)	
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	(4,840,000)	-	
გაცემული დივიდენდი			(434,563)	
31 დეკემბერი 2018 წელი	-	1,500,000	4,373,981	5,873,981
პერიოდის მოგება	-	-	809,221	
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	(515,500)	-	
31 დეკემბერი 2019 წელი	-	984,500	5,183,202	6,167,702

დირექტორი:

ი.აბაშიძე

შპს „გზები“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერი

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	809,221	(26701)
მოგების გადასახადი	-	-
ცვეთა ამორტიზაცია	601,866	617,122
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებებამდე	1,411,087	590,421
ზრდა/შემცირება სასაქონლო მატერიალურ ფასეულობაში	(12,429)	(117,375)
ზრდა/შემცირება გადახდილი ავანსები	(48,819)	46,520
ზრდა/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(606,561)	360,124
გაცემული სესხები	(4,996)	(44,981)
ზრდა/შემცირება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	766,354	(153,195)
ფულადი სახსრები ოპერაციებიდან	93,549	91,093
წმინდა ფულის შემოსავლა(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	93,549	91,093
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(204,380)	(804,336)
ინვესტიცია საწესდებო კაპიტალში	(515,500)	(4,840,000)
სარეზერვო კაპიტალი	-	-
წილის შესყიდვა	(68,823)	(800,479)
წმინდა ფული (გამოყენებული) მოპოვებული საინვესტიციო საქმიანობიდან	(788,703)	(6,444,815)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
აღებული სესხი	-	290,433
გადახდილი სესხი	(360,919)	-
მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე	-	4,500,000
ფინანსური იჯარა	(245,740)	(18,512)
გადახდილი დივიდენდი	-	(434,563)
წმინდა ფული (გამოყენებული) მიღებული ფინანსური საქმიანობიდან	(606,659)	4,337,358
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე	-	-
წმინდა ფულის ზრდა	109,274	(1,425,943)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	29,402	1,455,345
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	138,676	29,402

დირექტორი

ი.აბაშიძე

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „გზები“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქმიანობის საგანს წარმოადგენს გზების და ავტობანების მშენებლობა. კომპანიის იურუდიული მისამართია ქ. ბათუმი, აკაკი შანიძის ქუჩა, I შესახვევი №4, კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 245425393

კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორი ირაკლი აბაშიძე 100%-იანი წილით. დღეის მდგომარეობით კომპანიის დირექტორია ირაკლი აბაშიძე (პ/ნ 61001021235).

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოური ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება - ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებულია შემდეგი გაცვლითი კურსები:

	31.12.2019წ	31.12.2018წ
1 USD/GEL	2,8677	2,6766
1 EUR/GEL	3,2095	3,0701

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისი პრინციპები

კომპანიის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ზასს“) მიერ დამტკიცებული

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“ფასს”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისაგან.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის შესაბამისად.

საანგარიშგებო ვალუტა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) პირველი მიღება

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგებები მოამზადა 2019 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული სტანდარტების მიხედვით, შედარების მიზნებისთვის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მონაცემების ჩათვლით, როგორც ამას მოითხოვს სააღრიცხვო პოლიტიკა.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივების გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის პრინციპის პირობებში.

რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და

მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვები ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები, ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯი შეიცავს შუამავლისათვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანამშრომლის ჩათვლით), მრჩევლის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწრა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისას, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების

გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიიჩნევა საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი

ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს „კომპანიისათვის“. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ნაღდ ფულს და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებებით და ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

გაცემული სესხები

გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით (რომელიც მომხმარებელზე გაცემული სესხის თანხის ტოლია), პლუს სესხის გაცემასთან დაკავშირებული ტრანზაქციის განხორციელების ხარჯები. სესხი შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხის ამორტიზირებული ღირებულება არის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული გადახდილი სესხის ძირის თანხები, დამატებული ან გამოკლებული დაგროვებული ამორტიზაცია ეფექტური განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ნებისმიერი სხვაობისას თავდაპირველად აღიარებულ რაოდენობასა და დასაფარ თანხას შორის. შენატანები და შეღავათები, თავდაპირველი სატრანზაქციო ხარჯების ჩათვლით, შედის შესაბამისი სესხის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

გაცემული სესხის გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ ორგანიზაცია ვერ შეძლებს სასესხო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად თანხის ამოღებას. გაცემული სესხის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. როდესაც სესხი უიმედოა, ის ჩამოიწერება რეზერვის ანგარიშიდან. სარეზერვო ანგარიშიდან სესხები ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი დარწმუნდება რომ მან გამოიყენა ყველა შესაძლებლობა სესხის თანხის ამოსაღებად და მას შემდეგ რაც ორგანიზაცია გაყიდის მის ხელთ არსებულ ყველა უზრუნველყოფას. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა სესხი პირდაპირ ჩამოიწეროს ხარჯებში როგორც უიმედო, სარეზერვო ანგარიშის გავლის გარეშე. ეს ის შემთხვევაა, როცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ სესხი, რომელიც ამ მომენტამდე ჯერ არ ყოფილა საექვო ვალების რეზერვში შეტანილი, უფასურდება ისე, როდესაც ნათელია, რომ მისი ამოღება უიმედოა.

ადრე აღიარებული უიმედო ვალების ამოღება აღიარდება როგორც საექვო ვალების შემცირება. ხარჯებში ჩამოწერილი უიმედო ვალების ამოღება აღიარდება მოგება-ზარალში როგორც უიმედო ვალების ამოღება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი

ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, მოხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მთლიან გემგირი საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისათვის:

	სასარგებლო ვადა (წელი)
შენობა ნაგებობები	5-20
მანქანა დანადგარები	2-20
ოფისის აღჭურვილობა	2-20
სხვა ძირითადი საშუალებები	2-10

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია შესაბამის პერიოდში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისათვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით 2017 წლის 01 იანვრიდან მოგების გადასახადი და გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიფი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება მოკლევადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის განმავლობაში. ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური ეფექტის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კვალიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი, დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისათვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

თანამშრომელთა ხელფასები, წლიური შვებულებისა და ავადმყოფობის ანაზრაურებები, აღირიცხება იმ საანგარიშო პერიოდში როდესაც მოხდება შესაბამისი მომსახურების მიღება თანამშრომლებისაგან.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე, მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

4. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი

- დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს აღნიშნული მომხმარებლის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა

ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

5. ძირითადი საშუალებები

	შენიშნა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ღირებულება					
ბალანსი 2018 წლის 01 იანვარი	867,395	806,452	53,879	2,546,551	4,274,277
მატება ჩამოწერა	(39,961)	254,707	5,498	584,093	804,337
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	827,434	1,061,159	59,377	3,130,644	5,078,614
მატება ჩამოწერა	-	202,555	1,825	-	204,380
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	827,434	1,263,714	61,202	3,130,644	5,282,994
დაგროვილი ცვეთა					
ბალანსი 2018 წლის 01 იანვარი	53,155	319,151	27,518	688,487	1,088,311
ცვეთის ხარჯი ჩამოწერა	30,913	91,068	6,372	488,769	617,122
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	84,068	410,219	33,890	1,177,256	1,705,433
ცვეთის ხარჯი	38,352	167,789	5,486	390,239	601,866
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	122,420	578,008	39,376	1,567,495	2,307,299
ნარჩენი ღირებულება					
01 იანვარი 2018 წელი	814,240	487,301	26,361	1,858,064	3,185,966
31 დეკემბერი 2018 წელი	743,366	650,940	25,487	1,953,388	3,373,181
31 დეკემბერი 2019 წელი	705,014	685,706	21,826	1,563,149	2,975,695

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	31.12.2019	31.12.2018
მზა პროდუქცია	321,186	467,850
მასალები/ნედლეული	566,700	553,669
სხვა მარაგები	401,058	254,996
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	1,288,944	1,276,515

ყველა სესხი უზრუნველყოფილია მარაგებით და მზა პროდუქციით.

7. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები	31.12.2019	31.12.2018
წინასწარ გადახდილი ხელფასები	75,448	26,629
წინასწარ გადახდილი გადასახადები	0	0
სულ გადახდილი ავანსები	75,448	26,629

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შედგება მხოლოდ სამი სახის მოთხოვნისაგან პერიოდების შესაბამისად შემდეგი ნაშთით:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2019	31.12.2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,138,084	2,531,971
სხვა მოთხოვნები	35,210	34,762
მოთხოვნები წილის შესყიდვაზე	1,323,517	1,254,694
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,496,811	3,821,427

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,898	12,820
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	-
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	135,778	16,582
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	-	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	138,676	29,402

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იქნას, როგორც არასარიცხოვრებელი ფაქტისგათვალისწინებით, რომ ბანკში, სადაც კომპანიას აქვს ანგარიშები არის სანდო და წარმოადგენს ცნობილ ავტორიტეტულ საკრედიტო დაწესებულებას.

10. კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად კაპიტალი 1,500,000 ლარიდან განსაზღვრა 984,500 ლარით.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო ვალდებულებები	3,405,145	2,485,953
სხვა ვალდებულებები	84,159	298,850
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოს ვალდებულება	743,289	559,769
საგადასახადო ვალდებულება	281,728	403,395
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,514,321	3,747,967

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არა არის.

12. სესხები

მოკლევადიანი სესხები	31.12.2019	31.12.2018
ბანკის სესხები ლარში	279,514	640,433
სულ მოკლევადიანი სესხები	279,514	640,433

სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებებით და უძრავი ქონებით.

13. შემოსავალი

შემოსავალი	2019	2018
შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	17,755,647	14,456,686
სხვა შემოსავალი	318,997	104,423
სულ შემოსავალი	18,074,644	14,561,109

14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2019 წ.	2018 წ.
ხელფასის ხარჯი	3,342,199	3,311,942
იჯარის ხარჯი	34,592	49,547
ელექტროენერგიის ხარჯი	5900	6000
ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ხარჯი	721,353	1,342,514
ტექნიკის დაზღვევის ხარჯი	196,030	158,470
საკანცელარიო ხარჯი	606	1,737
ცვეთის ხარჯი	601,866	617,122
კომპიუტერული ხარჯი	318	3,110
კომუნიკაციის ხარჯი	4,212	3,722
საწვავის ხარჯი	1,231,029	1,348,389
მივლინების ხარჯი	9,210	17,695
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯი	566,782	528,190
მომსახურების ხარჯი	4,523,758	2,567,055
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	2,742	750
ლაბორატორიული მომსახურების ხარჯი	23,676	32,924
ექსპერტის ხარჯი	43,269	72,941
სამეურნეო ხარჯი	78,356	93,535
ბანკის საკომისიოს ხარჯი	39,267	47,539
წარმომადგენლობითი ხარჯი	0	237
საგადასახადო ხარჯი	38,615	39,561
სხვა ხარჯი	40,499	9,310
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11,504,279	10,252,290

15. ფინანსური შემოსავლები

ფინანსური შემოსავალი	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი	49,778	52,762
სხვა შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	18,225	21,999
სხვა შემოსავლები	57,384	62,002
სულ ფინანსური შემოსავალი	125,388	136,763

16. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი	2019	2018
საპროცენტო ხარჯი	74,954	91,625
სხვა ფინანსური ხარჯი	86,536	22,786
სულ ფინანსური ხარჯი	161,490	114,411

17. გაუთვალისწინებელი ხარჯები ვალდებულებები და ოპერაციული რისკები.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოს მხრიდან, საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობისა და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას.

18. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიას რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს, (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არასამუშაო მდგომარეობაში:

ა) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებების მხრივ. მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 31 დეკემბრისათვის 2019 და 2018 წლებში მოცემულია ქვემოთ:

31.12.2019 წელი

ფინანსური ვალდებულებები	ერთ წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე ზემოთ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,405,145	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,405,145	-	-

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებს კომპანიის მფლობელი იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ოპერირებს.

19. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შედამღებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობითი მხარეებს შორის გაშლილი ხელის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები წარმოდგენილია ფულად ეკვივლენტებში მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ.

20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით “შენიშვნები დაკავშირებულია მხარეების შესახებ”, წარმოადგენს:

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლებდა, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები) : ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას, კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31.12.2019წ	რეალიზაცია	შესყიდვები	მიღებული სესხები	მიღებული სესხის დაფარვა	მისაღები პროცენტები	გაცემული სესხები	გაცემული სესხის დაფარვა	წილის შესყიდვა
შპს მექანიზაცია გ	678	200,024	-	-	-	-	-	-
სულ	678	200,024	-	-	-	-	-	-

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31.12.2019წ	დებიტორული დავალიანება	გაცემული სესხები	მისაღები პროცენტები	კრედიტორული დავალიანება	მიღებული სესხები	გადასახდელი პროცენტები
შპს მექანიზაცია გ	133,198	-	-	-	-	-
სულ	133,198				-	-

**შენიშვნები ფინანსურ ანგარიშებზე 2019 წლის 31 დეკემბერი
(ლარი)**

მენეჯმენტის ანაზღაურება	2019	2018
ხელფასები სხვა მიღებული მოკლევადიანი სარგებელი	138,287	52,632
სულ	138,287	52,632

შენიშვნა 21 - გაუთვალისწინებელი გარემოებები

დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ არ ხორციელდება სამართლებრივი დავები და რომც წარმოიშვას არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ან მომავალ საოპერაციო შედეგებზე.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები


2019 წლების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 20 აპრილს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

შპს „გზები“

დირექტორი:

ი.აბაშიძე



შ.პ.ს „ბიურო აუდიტი“ „BEREAU AUDIT“ LTD

ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს №41;
მობ.: 577 79 80 90; 597 79 80 90

ელ-ფოსტა: k.ch.1965@mail.ru

41 giorgi brashinvali str. Tbilisi, Georgia

mob.: 577 79 80 90; 597 79 80 90

E-mail: k.ch.1965@mail.ru ს/კ 205290031

სერტიფიკატი №5/461 გაცემული საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული
საქმიანობის საბჭოს მიერ

Certificate Z №5/461 issued by the Auditing Council existing to the Georgian Parliament

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის
სამსახურის 2016 წლის 22 დეკემბრის №394 ბრძანებით რეგისტრირებულია
აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
შპს „გზები“-ს მფლობელებს და მმართველობას:

ჩვენი მოსაზრება

ჩვენის აზრით, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა მატერიალური, არსებითი თვალსაზრისით, სამართლიანად წარმოაჩენს გზები” („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისათვის, და მის 2019 წლის ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენ განვახორციელეთ შემდეგი სახის აუდიტირება

კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
- დასრულებული წლის ბოლოსათვის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება
- კაპიტალის ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება დასრულებული წლის ბოლოსათვის
- ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება დასრულებული წლის ბოლოსათვის; და
- ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები, რომელიც მოიცავს ძირითადი ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შეჯამებას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ განვახორციელეთ აუდიტირება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ასს). აღნიშნული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა დამატებით აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში „ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტირებისას აუდიტორის პასუხისმგებლობა“.

ჩვენ გვჯერა, რომ, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებანი საკმარისი და შესაფერისია იმისათვის, რომ წარმოვადგინოთ ჩვენი მოსაზრების საფუძველები.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვართ კომპანიისაგან დამოუკიდებლები, „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ მიერ დადგენილი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“-ს შესაბამისად (IESBA კოდექსი). ჩვენ ავიღეთ შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური პასუხისმგებლობები „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო“-ს მიერ დადგენილი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“-ს შესაბამისად.

სხვა ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენი აუდიტის დასკვნას მასზე)

ჩვენი მოსაზრება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტირებასთან დაკავშირებით, ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის მმართველობის ანგარიშგების წაკითხვა და ამით განსაზღვრა, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნასთან, არის თუ არა არსებითი უზუსტობები მასში.

ამასთანავე, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ჩვენ მოგვეთხოვება ჩვენი მოსაზრების გამოთქმა იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების ცალკეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ, შეიცავს თუ არა მენეჯმენტის ანგარიში ისეთ ინფორმაციას, რაც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს მატერიალური, არსებითი უზუსტობა, ჩვენი მხრიდან მოგვეთხოვება დავაფიქსიროთ აღნიშნულის შესახებ. თუმცა, ამ მხრივ ჩვენს დასკვნაში არაფერი გვაქვს წარმოსადგენი.

ჩვენი აუდიტის მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი მოსაზრება შემდეგია ყველა არსებითი ასპექტით:

- ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში ფინანსური წლისათვის, რომლისთვისაც მომზადდა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას;
- მმართველობის ანგარიშგება შეიცავს ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით და შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს.

მენეჯმენტისა და იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომლებიც ჩართულნი არიან ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მართვაში

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამასთანავე, პასუხისმგებელია შიდა კონტროლზე, რომელიც განსაზღვრულია მენეჯმენტის მოთხოვნების შესაბამისად, რათა შესაძლებელი გახდეს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადება, რომელშიც არ იქნება მატერიალური, არსებითი უზუსტობები, თაღლითობა ან შეცდომები.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია შეაფასოს „კომპანიის“ უნარი განაგრძოს ფუნქციონირებადობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აუცილებლობის შემთხვევაში გაამჟღავნოს ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებად საწარმოსთან და გამოიყენოს საწარმოს ფუნქციონირებადობა ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად, მანამ, სანამ მენეჯმენტი არ დააპირებს ჯგუფის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას, ან არ ექნება სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ აღნიშნულის განხორციელებისა. ის პირები, რომლებიც ჩართულნი არიან „კომპანიის“ მმართველობაში, პასუხისმგებელნი არიან ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტირებისას

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, რომ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება თავისუფალია მატერიალური, არსებითი უზუსტობებისგან, თაღლითობისა და შეცდომებისგან საერთო ჯამში და წარმოვადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც შეიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ აუდიტირება, რომელიც ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ყოველთვის აღმოაჩენს მატერიალურ, არსებით უზუსტობას ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობანი შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომების ნიადაგზე და მიიჩნევა მატერიალურ, არსებით უზუსტობად იმ შემთხვევაში, თუ ცალკეულად ან საერთო ჯამში, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი გავლენას მოახდენენ იმ პირების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე იღებენ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს. როგორც აუდიტირების შემადგენელი ნაწილს, რომელიც ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტირების განმავლობაში ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობასა და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს მთელი აუდიტის განმავლობაში. ამასთანავე, ვასრულებთ შემდეგს:

- ვახორციელებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შეცდომებისა და თაღლითობის რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ვადგენთ, რამდენად აქვს ადგილი თაღლითობას ან შეცდომას, ვახორციელებთ ისეთ აუდიტორულ პროცედურებს, რომლებიც რეაგირებენ ამ რისკებზე, მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების წარმოსადგენად. რისკი იმისა, რომ შეიძლება ვერ მოხდეს თაღლითობით გამოწვეული მატერიალურ, არსებით უზუსტობათა აღმოჩენა, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ უზუსტობა შესაძლოა გამოწვეული იყოს შეცდომების დაშვების საფუძველზე, ვინაიდან, თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს შეთქმულებას, გაყალბებას, განზრახ დაუდევრობა-გამოტოვებას, ფაქტების დამახინჯებას, ან შიდა კონტროლის გაუქმებას.

- ჩვენ ვახორციელებთ აუდიტისთვის შესაბამის შიდა კონტროლს, იმისათვის, რომ შევძლოთ აუდიტორული პროცედურები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება გარემოებებთან, მაგრამ ამას ვასრულებთ არა იმისთვის, რომ გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება „კომპანიის“ შიდა კონტროლის ეფექტურობასთან დაკავშირებით.
- ვახორციელებთ მენეჯმენტის მიერ გამჟღავნებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაფერისობის და სააღრიცხვო შეფასებების და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გონივრულობის შეფასებას.
- გამოგვაქვს დასკვნა მენეჯმენტის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების შესაფერისობის შესახებ და აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა მატერიალური, არსებითი განუსაზღვრელობები იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ეჭვის წარმოშობა „კომპანიის“ შესაძლებლობებზე, გააგრძელოს არსებობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებობს მატერიალური, არსებითი უზუსტობანი, ჩვენ მოგვეთხოვება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გამჟღავნება არაა დეკლარირებული, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომელიც მოპოვებულია ჩვენი აუდიტორული დასკვნის თარიღისათვის. თუმცა, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა, ან გარემოებამ, შესაძლოა გამოიწვიოს ის, რომ კომპანიამ შეწყვიტოს არსებობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.
- ვახორციელებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მთლიანი პრეზენტაციის, სტრუქტურისა და შინაარსის შეფასებას, მათ შორის განმარტებითი შენიშვნების შეფასებას და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანადაა წარმოდგენილი ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი ოპერაციები და მოვლენები.

ვაწარმოებთ კომუნიკაციას იმ პირებთან, რომლებიც ჩართულნი არიან მმართველობის საკითხებში, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის მიერ მოპოვებული მნიშვნელოვანი აღმოჩენების, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც აღმოვაჩინეთ ჩვენი აუდიტის განმავლობაში.

შპს „ბიურო აუდიტის“-ს სახელით (რეგისტრაციის # SARAS-F-164419)

კაზა ჭკუასელი (რეგისტრაციის # SARAS-A-577437)

20 აპრილი 2021 წელი

თბილისი, საქართველო

Handwritten signature



შპს „გზები“

ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება 2019 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით

	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	2,975,695	3,373,181	3,185,966
მიწა	1,573,606	1,573,606	1,573,606
არამატერიალური აქტივები	30,947	30,947	30,947
სულ გრძელვადიანი აქტივები	4,580,248	4,977,734	4,790,519
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,288,944	1,276,515	1,159,139
გაცემული სესხები	425,170	420,174	375,193
გადახდილი ავანსები	75,448	26,629	73,150
საეაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,173,294	2,566,733	2,926,858
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	4,500,000
ფული და ფულის ექვივალენტები	138,676	29,402	1,455,345
მოთხოვნები წილის შესყიდვაზე	1,323,517	1,254,694	454,215
სულ მიმდინარე აქტივები	6,425,049	5,574,148	10,943,900
სულ აქტივები	11,005,297	10,551,881	15,734,419
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	984,500	1,500,000	6,340,000
სარეზერვო კაპიტალი	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება	5183,202	4,373,981	4,835,245
სულ კაპიტალი	6,167,702	5,873,981	11,175,245
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
საეაჭრო ვალდებულებები	3,405,145	2,485,953	3,274,266
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	84,159	298,850	456
მიმდინარე სესხები	279,514	640,433	350,000
სხვა საგადასახადო ვალდებულება	281,728	403,395	499,387
ვალდებულება თანამშრომელთა წინაშე	743,289	559,769	127,053
სულ მიმდინარე ვალდებულებები	4,793,835	4,388,400	4,251,162
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა ფინანსური ვალდებულებები	43,760	289,500	308,012
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	43,760	289,500	308,012
სულ ვალდებულებები	4,837,595	4,677,900	4,559,174
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	11,005,297	10,551,881	15,734,419

დირექტორი



ი.აბაშიძე

შპს „გზები“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი		18,074,644	14,561,109
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		(5,725,042)	(4,357,872)
საერთო მოგება		12,349,602	10,203,237
საერთო ადმინისტრაციული ხარჯი		(11,504,279)	(10,252,290)
საოპერაციო მოგება		845,323	(49,053)
ფინანსური ხარჯები		(161,490)	(114,411)
(ზარალი)/მოგება საკურსო სხვაობიდან		18,225	21,999
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		107,163	114,764
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		809,221	(26,701)
მოგების გადასახადი		0	0
გადავადებული მოგების გადასახადის შემოსავალი		0	0
წმინდა მოგება/ზარალი		809,221	(26,701)

დირექტორი:



ი.აბაშიძე

შპს „გზები“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	სარეზერვო კაპიტალი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
01 იანვარი 2018 წელი	-	6,340,000	4,835,245	11,175,245
პერიოდის მოგება		-	(26,701)	
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	(4,840,000)	-	
გაცემული დივიდენდი			(434,563)	
31 დეკემბერი 2018 წელი	-	1,500,000	4,373,981	5,873,981
პერიოდის მოგება	-	-	809,221	
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	(515,500)	-	
31 დეკემბერი 2019 წელი	-	984,500	5,183,202	6,167,702

დირექტორი:




ი.აბაშიძე

შპს „გზები“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერი

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	809,221	(26701)
მოგების გადასახადი	-	-
ცვეთა ამორტიზაცია	601,866	617,122
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებებამდე	1,411,087	590,421
ზრდა/შემცირება სასაქონლო მატერიალურ ფასეულობაში	(12,429)	(117,375)
ზრდა/შემცირება გადახდილი ავანსები	(48,819)	46,520
ზრდა/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(606,561)	360,124
გაცემული სესხები	(4,996)	(44,981)
ზრდა/შემცირება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	766,354	(153,195)
ფულადი სახსრები ოპერაციებიდან	93,549	91,093
წმინდა ფულის შემოსავლა(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	93,549	91,093
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(204,380)	(804,336)
ინვესტიცია საწესდებო კაპიტალში	(515,500)	(4,840,000)
სარეზერვო კაპიტალი	-	-
წილის შესყიდვა	(68,823)	(800,479)
წმინდა ფული (გამოყენებული) მოპოვებული საინვესტიციო საქმიანობიდან	(788,703)	(6,444,815)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
აღებული სესხი	-	290,433
გადახდილი სესხი	(360,919)	-
მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე	-	4,500,000
ფინანსური იჯარა	(245,740)	(18,512)
გადახდილი დივიდენდი	-	(434,563)
წმინდა ფული (გამოყენებული) მიღებული ფინანსური საქმიანობიდან	(606,659)	4,337,358
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე	-	-
წმინდა ფულის ზრდა	109,274	(1,425,943)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	29,402	1,455,345
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	138,676	29,402

დირექტორი



11

ი.აბაშიძე

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშებზე 2019 წლის 31 დეკემბერი
(ლარი)

მენეჯმენტის ანაზღაურება	2019	2018
ხელფასები სხვა მიღებული მოკლევადიანი სარგებელი	138,287	52,632
სულ	138,287	52,632

შენიშვნა 21 - გაუთვალისწინებელი გარემოებები

დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ არ ხორციელდება სამართლებრივი დავები და რომც წარმოიშვას არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ან მომავალ საოპერაციო შედეგებზე.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2019 წლების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 20 აპრილს.
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

შპს „გზები“

დირექტორი:



ი.აბაშიძე

მმართველობის ანგარიშგება

2020

09/2020 შპს გზები

მართველობის ანგარიშგება

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი და სტანდარტები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია კომპანიის განვითარების პოტენციალის ფაქტობრივ მაჩვენებლებს. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

აღნიშნული დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს „გზები“-ს მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი.

ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ შპს „გზები“-ს გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის შესახებ

შპს „გზები“ შეიქმნა 1996 წელს.

2019 წელს კომპანიის დამფუძნებელი (100 %) და დირექტორია ირაკლი აბაშიძე, რომელიც დღემდე წარმოადგენს კომპანიის 100 %-იან დამფუძნებელს და დირექტორს.

რას ვსაქმიანობთ

შპს „გზები“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გზებისა და ავტობანების მშენებლობა. ამასთან კომპანია აწარმოებს ასფალტს და ახდენს მის რეალიზაციას.

კომპანია მდებარეობს ქ. ბათუმში აკაკი შანშიძის I შესახვევი #4.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმიანობის გამართვებასა და ეფექტურობაზე, სტრუქტურის თავში გვევლინება დირექტორი ირაკლი აბაშიძე.

დირექტორის მოკლე ბიოგრაფია

ირაკლი აბაშიძე შპს „გზები“-ს დირექტორად დაინიშნა რეგისტრაციის დღიდან.

სტრუქტურის თავისებურებანი და მაგალითები

კომპანიის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება დირექტორს ან/და ზედამხედველ სტრუქტურულ ერთეულს. სწორედ ეს დანაყოფები არიან პასუხისმგებელი კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე.

ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკეულად განსაზღვრულია შესაბამისი თანამდებობისათვის მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობები. ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლებების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

კომპანიის პოლიტიკები

საერთაშორისო რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით შექმნილი კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვისათვის, კომპანიაში შექმნილია პოლიტიკები, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომელთა მოქცევისა და ყოველგვარ დარღვევაზე ადეკვატური რეაგირების წესებს. პოლიტიკებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა.

ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია განსაზღვროს არსებული, პოტენციური და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების განსაზღვრის, მართვისა და აღკვეთის წესები. განმარტოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული თემები და დაეხმაროს თანამშრომლებს მათ პრევენციასა და ადეკვატურ რეაგირებაში. კერძოდ:

განსაზღვროს ის სიტუაციები, სადაც შესაძლებელია წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი;

ჩამოაყალიბოს ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენის, პრევენციისა და მართვის

პროცედურები, მექანიზმები და სისტემები;

დაიცვას კომპანიის, მისი მომხმარებლების, თანამშრომლების, ინვესტორებისა და მომწოდებლების ინტერესები, კონფლიქტის აღმომგზვრელი შესაბამისი ზომების შემუშავებით;

უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებთან შესაბამისობა.

ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვები/აკრძალვები:

- საქმიანობა დამსაქმებელი კომპანიის გარეთ;
- ნათესაური კავშირები დაქვემდებარებულ თანამშრომელთა შორის;
- აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულება;
- ნარკოდამოკიდებულება;
- პერსონალური ტრანზაქციები.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

დოკუმენტის მიზანია პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საჭირო პროცესების და რეგულაციების დანერგვა და აღწერა. ამ კუთხით თანამშრომელთათვის აუცილებელი შეზღუდვების დაწესება და ამავდროულად მათი პერსონალური მონაცემთა დაცვა უკანონო და არამიზნობრივი გამოყენებისაგან.

შეტყობინების მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს დამსაქმებელ კომპანიაში ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც ოპერატიულად იქნება გამოვლენილი და აღკვეთილი ნებისმიერი შეუსაბამოება თუ დარღვევა. სწორედ კომპანიაში დასაქმებული ადამიანები არიან თვითმხილველნი მათ ირგვლივ არსებული დარღვევებისა. პოლიტიკის თანახმად, დამსაქმებელი კომპანია უზრუნველყოფს განმცხადებელი პირის ანონიმურობას, მისი განცხადება განიხილება სრული პასუხისმგებლობით და კონფიდენციალურობის მკაცრი დაცვით.

არაფინანსური ანგარიშგება

ჩვენი გუნდი

შპს „გზები“ დასაქმებულია დაახლოებით 150-მდე თანამშრომელი. უამრავი კანდიდატიდან, კომპანია არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევექმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს.

კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.

